

რუსულ ПЕРЕ- პრევერბიან ზმნათა ქართულად
გადმოცემის საშუალებანი

(რუსულ-ქართული ლექსიკონების მიხედვით)

пере- პრევერბიანი ზმნების ქართულად გადმოცემას გარკვეული სირთულე ახლავს. ეს სირთულე, ცხადია, გათვალისწინებულია არსებულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში. ჩვენ შევისწავლეთ სამი რუსულ-ქართული ლექსიკონის, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილი სამტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ (1956—1959, მთავარი რედაქტორი პროფ. ქ. ლომთათიძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „რუსულ-ქართული ლექსიკონისა“ (1937) და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის („Русско-грузинский словарь“, 1846) სათანადო მასალა. დასკვნებიც ამ მასალას ემყარება. მაგალითები ძირითადად მოყვანილი გვაქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ლექსიკონიდან.

пере- პრევერბთან არის დაკავშირებული რუსული ზმნის რამდენიმე ლექსიკური და მოქმედების წესის¹ მნიშვნელობის გამოხატვა.

მოქმედების წესის ცნებასთან დაკავშირებით მოკლედ გვინდა შევნიშნოთ, რომ მოქმედების წესები სემანტიკური (ნაწილობრივ სიტყვაწარმოებითი) დაჯგუფებებია, რომლებიც მოქმედების მიმდინარეობის სახეობათა ერთიანობის საფუძველზე გამოიყოფა². მოქმედების წესები სემანტიკურად ახლოსაა ასპექტთან, მაგრამ ისინი ვერ ქმნიან მკაფიო პარადიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკურ განსხვავ-

¹ ამ ტერმინს ჩვენ რუსული способ действия-ს და გერმანული Aktionsart-ის მნიშვნელობით ვხმარობთ. ზ. ჭუმბურიძე, მაგ., ამ მნიშვნელობით „მოქმედების სახეს“ ხმარობს. (იხ. მისი, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში. კრებული „ორიონი“, თბილისი, 1967).

² А. В. Бондарко, Л. Л. Буланнин, Русский глагол, Ленинград, 1967,

ვებათა სფეროში რჩებიან³. აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაში მოქმედების წესების გამოხატვის ძირითად საშუალებას სწორედ პრევერბები წარმოადგენს.

განვიხილოთ пере- პრევერბის ძირითადი მნიშვნელობები და ამ მნიშვნელობათა ქართულად გადმოცემის საშუალებანი⁴.

1. უპირველეს ყოვლისა пере- პრევერბი აღნიშნავს გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე ან გადაადგილებას რამეზე გავლით, გატარებით, რაიმე დაბრკოლების გადალახვით. როდესაც пере- პრევერბი სივრცეში გადაადგილებას აღნიშნავს, წინადადებაში ჩვეულებრივ წარმოდგენილია ხოლმე на-, в-, к- წინდებულებიანი გრამატიკული ობიექტი, რომელიც გადაადგილების უკიდურეს წერტილს გამოხატავს. მაგ.: перейти с одного места на другое, перейти от стола к окну, переехать в другой город. როდესაც пере- პრევერბი აღნიშნავს გადაადგილებას რაიმე დაბრკოლების გადალახვით, როცა რისამე გავლით ხდება გადაადგილება, მაგ.: перебросить камень через забор და მისთ. — ამ ობიექტს უმთავრესად через წინდებული ახლავს, ხან კი უწინდებულო ბრალდებით ბრუნვაში დგას. მაგ.: перейти через улицу, перейти улицу და მისთ. უნდა ითქვას, რომ გადაადგილების ეს ორი ფორმა არ არის მკაფიოდ დიფერენცირებული; ზოგჯერ კონტექსტში ირკვევა, როგორ გადაადგილებას გულისხმობს ესა თუ ის пере- პრევერბიანი ზმნა. ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა სახის გადაადგილებას აღნიშნავს; შდრ.: перебежать через улицу და перебежать с места на место. ჩვენ ერთ ჯგუფში ვაერთიანებთ გადაადგილების ორივე სახის გამოხატველ пере- პრევერბიან ზმნებს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გადაადგილების მნიშვნელობა განსაკუთრებით რელიეფურად გადაადგილების მნიშვნელობის მქონე ზმნებშია გამოხატული. მაგ.: переехать в другой город, перелететь через океан და სხვ. მაგრამ пере- პრევერბი ამ ელფერს აძლევს ისეთ ზმნებსაც, რომლებსაც საწყის ფორმაში არა აქვთ გადაადგილების მნიშვნელობა და ეს იმიტომ ხერხდება, რომ გადაადგილების იდეას თვითონ пере- პრევერბი შეიცავს⁵, მაგ.: пересыпать в другой мешок და სხვ.

3 Ю. С. Маслов, Вопросы глагольного вида в современном зарубежном языкознании. კრებული «Вопросы глагольного вида», Ленинград, 1965, გვ.10.

4 წერილში გათვალისწინებულია пере- პრევერბიანი ზმნების როგორც ლექსიკური და სემანტიკურ-ასპექტური (მოქმედების წესის) მნიშვნელობების, ისე წმინდა ასპექტური მნიშვნელობის გადმოცემის საშუალებანი.

5 П. К. Ковалев, Функции глагольных префиксов в русском литературном языке, უკრნ. «Русский язык в школе», 1940, № 2, გვ. 44.

გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ ზმნებში **пере-** პრევერბი აღნიშნავს: 1) გადაადგილებას დროში (перенести на другой срок, передвинуть к весне და მისთ.); 2) სხვა კატეგორიაში, ჯგუფში გადაყვანას ან სხვისთვის გადაცემას (перевести в ученики, перечислить в запас, перейти на новое место და სხვ.) და 3) რისამე გამოვლას, გადატანას (перенести горе და მისთ.).

ფართო გაგებით გადაადგილებას უჩვენებენ ისეთი **пере-** პრევერბიანი ზმნებიც, რომლებიც აღნიშნავენ: 1) მოქმედების მიმართულობის შეცვლას (მაგ.: передат, переслат და სხვ.); 2) გადაადგილების უკუმიმართულობას, რისამე გადაბრუნებას, გადაპირქვაებას (მაგ.: перекувырнуть, перевернуть, перелицевать და სხვ.) და 3) მოქმედების მიმართულობას გვერდისკენ (перекачнуться, перекосятся, перекоробить, перекоробиться და სხვ.). ფართო გაგებით გადაადგილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ აგრეთვე **пере-** პრევერბის მიერ ზოგ ზმნურ ფუძეზე დართვისას გამოხატული მნიშვნელობა — საიდანმე გადმოწერა, გადმოხატვა და მისთ. მაგ.: перерисовать, переписать, пересказать და ზოგი სხვა. ასე რომ, ჩვენ ერთ დიდ ჯგუფში ვავერთიანებთ **пере-** პრევერბიანი ზმნები, რომლებიც ფართო გაგებით გადაადგილებას გამოხატავენ.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, რომ ფართო გაგებით გადაადგილების მნიშვნელობის მქონე **пере-** პრევერბი ქართულად **გადა-** და **გადმო-** პრევერბებით გადმოიცემა იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმართულებას ითვალისწინებს მოქმედება — პირველი პირისაგან დამამორებელს თუ პირველ პირთან დამაახლოებელს. მაგ.: перебежать გადაბრენა (გადაირბენს), გადმობრენა (გადმოირბენს): он перебежал через улицу, он перебежал улицу ქუჩა გადაირბინა (გადმოირბინა); перебраться გადასვლა (გადავა), გადმოსვლა (გადმოვა): перебрался через забор ღობეზე გადავიდა (გადმოვიდა); перебросить გადაგდება (გადააგდებს), გადმოგდება (გადმოაგდებს); გადასროლა (გადაისვრის), გადმოსროლა (გადმოისვრის); перевезти გადატანა (გადაიტანს), გადმოტანა (გადმოიტანს); გადაზიდვა (გადაზიდავს), გადმოზიდვა (გადმოზიდავს); გადაყვანა (გადაიყვანს), გადმოყვანა (გადმოიყვანს): он перевез вещи через реку на своей машине თავისი მანქანით გადაზიდა (გადმოზიდა) ბარგი მდინარეზე. передат გადაცემა (გადასცემს), გადმოცემა (გადმოსცემს): передат письмо წერილის გადაცემა; передат известие ცნობის გადაცემა. переслат... он переслал ему деньги по почте ფული ფოსტით გადაუგზავნა; перевернуться გადაბრუნება (გადაბრუნდება), გადმობრუნება (გადმობრუნდება), გადატრიალება.

(გადატრიალდება); გადმოტრიალება (გადმოტრიალდება); გადაყირავება (გადაყირავდება), გადმოყირავება (გადმოყირავდება): лодка перевернулась ნავი გადაბრუნდა; перевалиться გადაბრუნება, გადმობრუნება; გადატრიალება, გადმოტრიალება: перевалился на другой бок მეორე გვერდზე გადაბრუნდა; переписать გადაწერა, გადმოწერა; переписи рукопись! ხელნაწერი გადაწერე! და სხვ.

ის ფაქტი, რომ გადაადგილების აღმნიშვნელი პრევერბი ქართულად გადა- (გაღმო-) პრევერბით გადმოიცემა, არც არის გასაკვირი, რადგან, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაც არის ცნობილი, გადა- (გაღმო-) პრევერბის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა გადაადგილების, გადანაცვლების ჩვენება, უმთავრესად, სწორედ რაიმეზე გავლით, გატარებით ან რაიმე დაბრკოლების გადალახვით⁶.

საინტერესოა, რომ პრევერბიანი ზმნების გადმოცემისას გადა- (გაღმო-) პრევერბი ხშირად სათარგმნი ზმნის ფუძისაგან განსხვავებულ ფუძეს ერთვის. ამას ადგილი აქვს როგორც პრევერბიანი ზმნების გადატანითი მნიშვნელობების და გადატანითი მნიშვნელობებისაგან განვითარებული მნიშვნელობების თარგმნისას (მაგ.: перебежать 2. გადატ. გადასვლა, გადახვეწა, გადახიზენა; перебросить 3. გადაყვანა, გადაგზავნა: перебросить дивизию на левый фланг დივიზიის მარცხენა ფლანგზე გადაყვანა და სხვ.), ასევე პრევერბიანი ზმნების პირდაპირი მნიშვნელობების თარგმნისასაც. მაგ.: перегрузить გადაცლა; передвинуть გადაადგილება (გადაადგილებს) და სხვ.

სათანადო მასალის განხილვის შედეგად გამოირკვა, რომ ამისი მიზეზი შემდეგია: 1. ზოგ რუსულ ზმნურ ფუძეს არა აქვს შესატყვისი ქართულ ენაში. მაგ.: переехать, перевезти, перелицевать. 2. ზოგჯერ რუსული ზმნის შესატყვისი ქართული ზმნური ფუძე ვერ იერთებს გადა- პრევერბს. მაგ.: перекочевать, перенаправить, переправиться და სხვ. 3. ყველაზე ხშირად კი მიზეზი ის არის, რომ გადა- (გაღმო-) პრევერბიანი ზმნა არ იხმარება სათანადო რუსული ზმნის შესაბამისი ამა თუ იმ მნიშვნელობით. მაგ.: он перебежал к неприятелю — აქ „გადარბენა“ არ გამოდგება; ან: перебросить дивизию на левый фланг — არც ამ შემთხვევაში გამოდგება „გადაადგება“ ზმნა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განსხვა-

⁶ Д. Чубинов. Краткая грузинская грамматика, С.-Петербург, 1855, გვ. 72; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 250; ა. მარტიოხოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იკე, 1953, V, გვ. 93; ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბილისი, 1967, გვ. 248—249 და სხვ.

ვებულფუძიანი ფორმებში ზუსტი შესატყვისების გვერდით არის მოცემული ლექსიკონებში, როგორც ვარიანტები. მაგ.: перегрузить გადაცლა, გადატვირთვა; переместить გადანაცვლება, გადაადგილება, გადადგმა, გადაყვანა და სხვ. ამ ვარიანტების წარმოდგენა ლექსიკონებში საშუალებას აძლევს მკითხველს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით შეარჩიოს უფრო მარჯვე და ცოცხალი შესატყვისები.

რაიმე დაბრკოლების გადალახვით გადაადგილების აღმნიშვნელი пере- პრევერბიანი ზმნები გადა- პრევერბიანი ზმნების პარალელურად სახედაო მნიშვნელობის ა-ს მქონე გადა- (გაღმო-) პრევერბიანი ზმნებითაც ითარგმნება. მაგ.: переметнуться გადახტომა (გადახტება, გადაახტება) და სხვ. პირველ შემთხვევაში ზმნა -ზე თანდებულიან მიცემითს მოითხოვს, მეორე შემთხვევაში კი — უთანდებულო მიცემითს. შდრ.: ღობეზე გადახტა და ღობეს გადაახტა.

აღსანიშნავია, რომ თარგმნით ლექსიკონებში თანმიმდევრულად არ არის გათვალისწინებული ორიენტაციის, ე. ი. მიმართულების აღნიშვნასთან I პირის დამოკიდებულების, საკითხი. გადა- პრევერბის საპირისპირო პირველ პირთან მახლოებელი მიმართულების (სააქეთო ორიენტაციის) გამომხატველი გაღმო- პრევერბი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია წარმოდგენილი ლექსიკონებში. ეს აბუნდოვნებს საკითხს, ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს пере- პრევერბი მხოლოდ ზოგ შემთხვევებში შეიძლება გაღმოიცეს გაღმო- პრევერბით. ამიტომ გადაადგილების აღმნიშვნელი пере- პრევერბიანი ზმნების საერთო თარგმანში ორივე ორიენტაციის პრევერბი უნდა იყოს წარმოდგენილი; თუმცა, ცხადია, ცალკეული კონკრეტული ფრაზების თარგმნისას მხოლოდ ერთი ამ პრევერბთაგანის ხმარება არის შესაძლებელი, მეორისა კი გამორიცხულია. შდრ. მაგ.: ему перевалило за сорок орმოც წელს გადააბიჯა და он переехал в наш город ჩვენს ქალაქში გაღმოვიდა საცხოვრებლად.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უკუ- და გვერდისკენ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნების თარგმნისას ხშირად მნიშვნელოვან როლს ქართული ზმნის ფუძის სემანტიკა ასრულებს. ამ შემთხვევაში ქართული ზმნის ფუძე თვითონ ითვალისწინებს უკუ- ან გვერდისკენ მიმართულობას; მაგ.: перекачнуться აყირაყება; перекосятся გადაფერდება (გადაფერდება); გადაბრეცა, გადაღრეცა; перевернуть გადაყირაყება; перевернуть котел вверх дном ქვაბის დაპირქვაება; წამოპირქვაება (უნივ. ლექს.); перекачнуть დაგვერდელაება (დაგვერდელაება) და სხვ. (უნივ. ლექს.).

ზოგჯერ გადაადგილების გამომხატველი пере- პრევერბიანი ზმნები გადა- პრევერბიანი ზმნების პარალელურად აღწერილიც არის ნა-

თარგმნი ლექსიკონებში. ასეთი აღწერითი თარგმანი ფაქტობრივად სათარგმნი სიტყვების განმარტებას წარმოადგენს; მასში რუსული ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედება ჩვეულებრივ მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელით არის წარმოდგენილი. მაგ.: перебежать გადაბენა, ...სირბილით გადასვლა (სირბილით გადავა); перекачать გადაგორება, ...გორებით მიტანა (გორებით მიიტანს); переплавить ცურებით გადატანა, გადაცურება: переплавить лес на тот берег ხე-ტყის ცურებით გადატანა მეორე ნაპირზე; переташиться ჩანჩალით გადასვლა, გადაჩანჩალება და სხვ.

საინტერესოა, რომ აღწერით თარგმანშიც, კერძოდ, მის ზმნურ კომპონენტშიც ისევ გადა- პრევერბია წარმოდგენილი, რომელიც გადადგილებასაც აღნიშნავს და სრულ ასპექტსაც აწარმოებს. მაგ.: перебежать სირბილით გადასვლა; переплавить ცურებით გადატანა და სხვ.

ცალკეულ შემთხვევებში ჩვეულებრივ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი пере- პრევერბიანი ზმნები გადა- პრევერბიანი ზმნებით და აღწერითი თარგმანის გვერდით განსხვავებული სიტყვიტაც, განსხვავებული ლექსიკური ერთეულიტაც არის ნათარგმნი. მაგ.: переброситься გადასვლა (გადავა), მოდება (მოედება): огонь перебросился на соседний дом ცეცხლი მეზობელ სახლზე გადავიდა, მეზობელ სახლს მოედო. перенести... столицу перенесли в другой город დედაქალაქი სხვა ქალაქში გადაიტანეს, დედაქალაქად სხვა ქალაქი აირჩიეს და სხვ.

საინტერესოა, რომ ერთეულ შემთხვევებში пере- პრევერბიანი ზმნის სათარგმნად გადა- გამორიცხულია და ასეთი ზმნა სწორედ განსხვავებული ქართული სიტყვით ითარგმნება. მაგ.: перебросить, перекинуть мост через реку — ამ შემთხვევაში გადა- პრევერბი არ გამოდგება, უნდა ითარგმნოს: მდინარეზე ხიდის გადაება; ან, მაგ.: он переступил закон კანონი დაარღვია და ზოგი სხვ.

აღსანიშნავია, რომ გადა- (გადმო-) პრევერბი пере- პრევერბიანი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობასაც ვადმოსცემს ქართულად⁷.

2. გადა- პრევერბით ვადმოიცემა რისამე ორად (შუაზე) ან ნაწილებად გაყოფის აღმნიშვნელი пере- პრევერბიც. მაგ.: перебить გადატეხა (გადატეხს): перебить ногу ფეხის გადატეხა; ему перебили спинной хребет ხერხემალი გადაუმტეროეს; перепилить გადახერხვა (გადახერხავს): он перепилил доску ფიცარი გადახერხა და სხვ.

⁷ უსრულასპექტიანი ფორმების თავისებურებაზე ცალკე გვექნება საუბარი.

3. ქართული **გადა-** პრევერბით გადმოიცემა აგრეთვე ისეთი პრევერბი, რომელიც გარდაქმნას, გარდაქცევას, ერთი მდგომარეობის მეორით შეცვლას გამოხატავს. მაგ.: переделать გადაკეთება (გადააკეთებს): переделать платье კაბის გადაკეთება; переделать стихотворение ლექსის გადაკეთება; переименовать გადასხვაფერება (გადაასხვაფერებს): переименовать фразу ფრაზის გადასხვაფერება; перелить გადადნობა (გადაადნობს): перелить колокола в пушки ზარების გადადნობა ზარბაზნებად; переработать გადამუშავება (გადაამუშავებს): переработать хлопок в пряжу ბამბის გადამუშავება წართაღ და სხვ.

გადა- პრევერბის ამ მნიშვნელობაზე მიუთითებს ა. მარტიროსოვი⁸. აღსანიშნავია, რომ **გარდაქმნა** სიტყვაში, რომელიც ყველაზე ზოგადად გამოხატავს გარდაქმნის მნიშვნელობას, **გადა-** პრევერბი თავისი ძველი **გარდა-** სახით შემოგვრჩა.

ამ ტიპის ზოგი ზმნა ქართული **გამო-** პრევერბიანი ზმნითაც ითარგმნება. მაგ.: перегнать გამოხდა: перегнать нефть ნავთის გამოხდა; пережечь გამოწვა (გამოწვავს): пережечь известь კირის გამოწვა; пережечь дрова на уголь ნახშირის გამოწვა და ზოგი სხვა.

გადა- და **გამო-** პრევერბები სათარგმნი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობასაც გადმოსცემენ ქართულად.

4. **пере-** პრევერბთან არის დაკავშირებული რუსული ზმნის განაწილებითი (დისტრიბუციული) მოქმედების წესის გამოხატვა. პრევერბის ამ მნიშვნელობას წინათ ასპექტურ მნიშვნელობად მიიჩნევენ⁹. ამჟამად კი ასეთი მნიშვნელობა რუსული ზმნის მოქმედების წესის მნიშვნელობად არის მიჩნეული¹⁰. ასეთი ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას, რომელიც თანმიმდევრულად მოიცავს საგნების (ობიექტების ან სუბიექტების) დიდ რაოდენობას¹¹. ა. ისაჩენკო აზუსტებს, რომ ასეთი მოქმედება უბრალოდ რამდენიმე ობიექტს ან სუბიექტს

8 იხ. მისი, ზმნისწინებს შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1953, № 5, გვ. 93.

9 იხ. Г. К. Ульянов, Значения глагольных основ в литовско-славянском языке, Варшава, 1895, II, გვ. 34. გ. ულიანოვი ამ მნიშვნელობას სუპარულს უწოდებდა.

10 იხ. А. В. Исаченко, Грамматический строй русского языка в сопоставлении с словацким, Морфология, ч. II, Братислава, 1960, გვ. 287; Ю. С. Маслов, Система основных понятий и терминов славянской аспектологии: краткое «Вопросы общего языкознания», Ленинград, 1965, გვ. 77, А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Ленинград, 1967, გვ. 20.

11 Грамматика русского языка. Изд. АН СССР, Морфология, Москва, 1953, გვ. 594.

კი არ მოიცავს, არამედ უმთავრესად ყველა (ან ბევრ) ობიექტს ან სუბიექტს ამრიგად, განაწილებული (დისტრიბუციული) მოქმედების წესის მნიშვნელობა ორ სემანტიკურ კომპონენტს შეიცავს: პირველი, მოქმედება მოიცავს ყველა (ან ბევრ) ობიექტს ან სუბიექტს და, მეორე, კომპლექსური მოქმედების ფაზები ერთმანეთის თანმიმდევრობით სრულდება¹². მაგ.: перемыть всю посуду და перемыть много посуды.

აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას, რომელიც რიგ ობიექტებზე ვრცელდება, გარდაუვალი ზმნები კი სუბიექტების სიმრავლეს გამოხატავენ. მაგ.: перестираться და все переболели და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის ზმნები თავისუფლად შეიწყობენ სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებს (все, все, много, несколько, массу და მისთ.). ასეთი სიტყვები უბრალოდ აზუსტებენ სათანადო რუსული ზმნების განაწილებითს (დისტრიბუციულ) მნიშვნელობას. ასეთი ზმნები ჩვეულებრივ სრულასპექტიანი არიან. რუსული ენის დიდი აკადემიური ლექსიკონი¹³ სავესებით მართებულად გამოყოფს ასეთი ზმნების მნიშვნელობის კიდევ ერთ ნიუანსს: ინტენსიური მოქმედება მოიცავს მთელ საგანს — ობიექტს ან სუბიექტს. მაგ.: перекопать весь огород და სხვ.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, რომ пере- პრევერბიანი ზმნების განაწილებითს (დისტრიბუციულ) მნიშვნელობას ქართულად ზუსტად გადმოსცემენ ინტენსივობის და- პრევერბიანი ზმნები. მაგ.: перебеситься და ცოფება (და ცოფდებიან): собаки перебесились ძაღლები და ცოფდნენ; переругать და ლანძღვა (და ლანძღავს): он всех нас переругал ჩვენ ყველანი და გვლანძღა; перебудить დაღვიძება (დააღვიძებს); перемыть და რეცხვა (დარეცხავს); переносить და ცვეთა: он переносил много обуви ბევრი ფეხსაცმელი და ცვეთა; перекрасить დაღებვა (დაღებავს); перепечь და ცხობა (დაა ცხობს); перепробовать და სინჯავს (და სინჯავს); переточить დაღესვა (დაღესავს): переточить все ножи ყველა დანების დაღესვა; перецеловать დაკოცნა (დაკოცნის) და სხვ.

ასეთი ქართული ზმნები пере- პრევერბიანი განაწილებითი (დისტრიბუციული) ზმნების მნიშვნელობის ორივე კომპონენტს გადმოსცემენ — ობიექტების (ან სუბიექტების) სიმრავლეს და მოქმედების თანმიმდევრულობას. ასეთი და- პრევერბიანი ზმნებიც თავისუფლად შეიწყობენ სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებს (ბევრი, ყველა და მისთ.),

¹² А. В. Исаченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

¹³ Словарь современного русского литературного языка, Изд. АН СССР, Институт языкознания, ტ. 9.

რომლებიც ქართულშიც უბრალოდ აზუსტებენ სათანადო ზმნის მნიშვნელობას და ჰათი ხმარებს არ არის აუცილებელი¹⁴. მაგრამ და- პრევერბის შესაძლებლობები ამ მხრივ пере- პრევერბთან შედარებით ძალიან შეზღუდულია. საკმაოდ მცირეა იმ ქართულ ზმნურ ფუძეთა რიცხვი, რომლებიც ინტენსივობის და-ს მიიღებენ, და, გარდა ამისა, მრავლობითში ნახმარ სუბიექტსა და ობიექტთან და- პრევერბის შენაცვლების საფუძვლები უკვე შერყეულია¹⁵.

სულ რამდენიმე შემთხვევაში ხერხდება пере- პრევერბიანი განაწილებითი ზმნების გადა- პრევერბიანი ზმნებით თარგმნა; მაგრამ, რაგორც გაირკვა, ყველა ამ შემთხვევაში ქართული ზმნით გამოხატული მოქმედება ყველა ობიექტზე ვრცელდება. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ზმნები ვერ გამოხატავენ მოქმედების თანმიმდევრულობას. მაგ.: перегрызть გადაღრნა, გადახვრა, გადაჭმა; собака перегрызла кур ძაღლმა ქათმები გადაჭამა; собака перегрызла все кости ძაღლმა ძვლები მთლად გადახრა; перерыть გადათხრა (გადათხრის); свиная перерыла весь огород ღორმა მთელი ბოსტანი გადათხარა და ზოგი სხვ.

ცალკეულ შემთხვევებში ობიექტების ან სუბიექტების სიმრავლეს ქართული ზმნის ფუძის სემანტიკა თვითონ გულისხმობს. მაგ.: передохнуть გაწყდომა (გაწყდება), დახოცვა (დაიხოცება); перебить დამტვრევა (დაამტვრევს), დაღეწვა და ზოგი სხვ.

მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში пере- პრევერბიანი ზმნების განაწილებითი (დისტრიბუციული) მნიშვნელობის გადმოსაცემად საკმარის ხდება მათი აღწერითად თარგმნა, ე. ი. ლექსიკური საშუალებებით გადმოცემა. ქართული ენა ამ შემთხვევაში იშველიებს ისეთ დამაზუსტებელ სიტყვებს, როგორცაა: ბევრი, მრავალი — ერთი მხრივ (როცა მოქმედება ბევრ ობიექტს ან სუბიექტს გულისხმობს), და ყველა, სულ, მთლად — მეორე მხრივ (როცა მოქმედება ყველა ობიექტს ან სუბიექტს მოიცავს). ამ დამხმარე სიტყვების მოშველიება пере- პრევერბიანი ზმნების თარგმნისას აუცილებელია და ისინი რუსულ საილუსტრაციო ფრაზებში წარმოდგენილი დამაზუსტებელი სიტყვების (все, много და მისთ.) უბრალო შესატყვისად არ უნდა მივიჩნიოთ. ასეთ აღწერით თარგმანში სათარგმნი ზმნის ფუძით: გამოხატული მოქმედება შესაბამისი ფუძის მქონე ქართული ზმნით, ე. წ. აზრობრივი ზმნით¹⁶ გადმოიცემა. მაგ.: переглядить დაუთოება მრავლისა; переду-

¹⁴ დაწვრილებით და- პრევერბის ეს მნიშვნელობა დახასიათებული აქვს ა. შანძიძეს; იხ. მისი, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 262—264.

¹⁵ ა. შანძიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 263.

¹⁶ ამ ტერმინს „смысловой глагол“ ხმარობს გ. ვიუგოვა. იხ. მისი,

შიტ მობრჩობა (მობრჩობს ბევრს, ყველას); пережить დაქორწინება (დაქორწინდება ბევრი, ყველა); перековать ბევრის, ყველას დაქედვა და სხვ. რაც შეეხება ამ ტიპის რუსული ზმნების მნიშვნელობის მეორე კომპონენტს, აღწერით თარგმანში ჩვეულებრივ ვერ ხერხდება მოქმედების თანმიმდევრულობის ჩვენება. ცალკეულ შემთხვევებში სალექსიკონო სტატიის საერთო თარგმანში მოშველიებულია ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **სათითაოდ, მიყოლებით, თანმიმდევრობით**. მაგ.: перебрать სათითაოდ ჩამოთვლა, გახსენება (გაიხსენებს) და სხვ. მოქმედების თანმიმდევრულობის აღმნიშვნელი ასეთი სიტყვები ყველა აღწერით თარგმანს უნდა ახლდეს; თუმცა გაბმული ტექსტის თარგმნისას და ზეპირ მეტყველებაში ასეთი დამაზუსტებელი სიტყვების ხმარება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ხერხდება. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი სიტყვები ამქიმბენ ქართულ ფრაზას და ხელოვნურს ხდიან მას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ზმნები ჩვეულებრივ სრულასპექტიანი არიან და და-პრევერბი მათ წმინდა ასპექტურ მნიშვნელობასაც გადმოსცემს ქართულად. აღწერით თარგმანში კი პრევერბიანი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობა ნებისმიერი ქართული პრევერბით გადმოიცემა, რომელიც სათანადო ქართული აზრობრივი ზმნისათვის არის ბუნებრივი.

რაც შეეხება იმ რამდენიმე ზმნას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მოქმედება მთელ ობიექტს მოიცავს, უნდა ითქვას, რომ ასეთი ზმნები ჩვეულებრივ გადა-პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება. მაგ.: перекопать გადაბარვა (გადაბარავს). გადათხრა: перекопать огород ბოსტნის გადაბარვა; перекопать გადაცეღვა (გადაცეღავს), გადათიბვა: перекопать луг მდელობის გადაცეღვა; перерыть გადათხრა (გადათხრის): свинья перерыла весь огород ღორმა მთელი ბოსტანი გადათხარა და ზოგი სხვა. ამ ტიპის ზმნების თარგმანს ზოგჯერ **სულ** და **ერთიანად** სიტყვების მოშველიებით ხერხდება. მაგ.: перепачкать დახვნა სულ, ერთიანად და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ამ ჯგუფის პრევერბიანი ზმნები მოქმედების ინტენსიურობასაც გამოხატავენ. მაგ.: перемять, перемяться, перепачкать, перепачкаться, перемазать, перемазаться, перемарать და ზოგი სხვ. ჩამოთვლილი ზმნების ინტენსიურობა ხშირად **თხუნა** ზმნის ფუძის სემანტიკით, მისი ექსპრესიულობით გადმოიცემა (მღრ. ნეიტრალური **გაჭუჭყიანება**). მაგ.: перепачкать გათ-

Способы передачи значения совершенного вида русского глагола с префиксом по- средствами французского языка, Орловский государственный педагогический институт, 1968.

ხუპნა (გათხუპნის, გაითხუპნის); он перепачкал руки в саже ხელები მურით გაითხუპნა; перепачкаться გათხუპნა (გაითხუპნება): перепачкался в красках საღებავით გაითხუპნა; перемазать გათხუპნა (გათხუპნის, გაითხუპნის): перемазать руки чернилами მეღვინით ხელების გათხუპნა; перемазаться დათხუპნა (დაითხუპნება): он перемазался в краске საღებავით დაითხუპნა.

თხუპნა ფუძე ერთნაირად თავისუფლად ირთავს გა- და და- პრევერბსაც.

ხვრა ფუძესთან ორი ამო- და მო- პრევერბი ასერხებს ინტენსივობის ჩვენებას. მაგ.: перепачкать მოსვრა: вы мне перепачкаете все полы მთელ იატაკს მომისვრით; перепачкаться მოსვრა; перемазать ამოსვრა (ამოსვრის); перемазаться ამოსვრა (ამოსვრება); он перемазался в краске საღებავში ამოსვარა.

ამ ზმნების სათარგმნად **ამოთხუპნა** ფორმაც გამოდგებოდა.

განსაკუთრებით მარჯვეა ამო- პრევერბი, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება მთელ ობიექტს მოიცავს; ასეთი მნიშვნელობა ხვრა ფუძესთან სწორედ მოქმედების ინტენსიურობას გულისხმობს.

იგივე ზმნისწინები სათარგმნი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობასაც გადმოსცემენ ქართულად.

განაწილებით (დისტრიბუციულ) პრევერბიან ზმნებში ა. ბონდარკო გამოყოფს ერთ ჯგუფს უკუქცევითი ზმნებისას, რომლებსაც ზოგჯერ დამატებითი შინაარსობრივი ნიუანსი აქვთ, ისინი სუბიექტებს შორის ურთიერთობას გამოხატავენ. ეს დამატებითი შინაარსობრივი ნიუანსი ხშირად უკანა პლანზე სწევს და ზოგჯერ კი სავსებით ჩრდილავს მოქმედების თანმიმდევრულობის ნიუანსს¹⁷. მაგ.: перегрызться, передрасться, передружиться, перезнакомиться, переругаться, перерезаться და სხვ.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ხშირად ამ ტიპის ზმნების ამოსავალი ზმნა -ся ნაწილაკის წყალობით უკვე შეიცავს ურთიერთობის იდეას¹⁸.

ამ ზმნებს წმინდა დისტრიბუციული მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეთ და მაშინ ისინი ისევე ითარგმნება, როგორც ყველა სხვა პრევერბიანი გადანაწილებითი (დისტრიბუციული) ზმნა. მაგ.: он со всеми передрался ყველას წაეჩხუბა; он передружился в доме отдыха со всеми დასასვენებელ სახლში ყველას დაუშეგობრდა და სხვ.

¹⁷ იხ. А. В. Бондарко, Л. Л. Буланни, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

¹⁸ ამ თავისებურებაზე ა. ისაჩენკომ გაამახვილა ყურადღება. იხ. მისი, Грамматический строй русского языка и сопоставлении с словацким, Морфология, ч. II, Братислава, 1960.

დამატებითი შინაარსობრივი ნიუანსის მქონე ზმნების სათარგმნად ქართული ენა იშველებს სიტყვას **ერთმანეთი**. მაგ.: **перезнакомиться** ერთმანეთთან გაცნობა (გაეცნობა ერთმანეთს მრავალი); **переругаться** ერთმანეთის დალანძღვა (ერთმანეთს დალანძღვენ); **перечеловаться** ერთმანეთის დაკოცნა (ერთმანეთს დაკოცნიან) და სხვ. სუბიექტების სიმრავლე და პრევერბით და მრავალ სიტყვის მოშველებით არის გამოხატული.

ზოგჯერ ასეთი ზმნების თარგმნისას წინა პლანზე ამ ზმნების დამატებითი შინაარსობრივი ნიუანსია წამოწეული, სუბიექტების სიმრავლე კი მხოლოდ ქვემდებარისა და შემასვენლის მრავლობითის ფორმით არის გამოხატული. მაგ.: **кошки перещарапались** კატებმა ერთმანეთი დაკაწრეს; **ребята во дворе переругались** ეზოში ბიჭები ერთმანეთს წაეჩხუბნენ. ასეთი ზმნების თარგმანი ემთხვევა ურთიერთურთსახე მოქმედების წესის მნიშვნელობის ზმნების თარგმანს, რომელთაც ჩვენ ცალკე განვიხილავთ.

5. ძალიან მრავალრიცხოვანია რუსულ ენაში ისეთი პრევერბიანი ზმნების ჯგუფი, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების განმეორებას ხელახლა ან სხვაგვარად. მაგ.: **перекрасить, переделать, перестроить** და სხვ. ასეთ მნიშვნელობას ჩვენ მოქმედების წესის მნიშვნელობად მივიჩნევთ, რადგან ამ შემთხვევაში პრევერბი არ ცვლის მაწარმოებელი ფუძის მნიშვნელობას და მხოლოდ მოქმედების შესრულების გარკვეულ წესს გამოხატავს.

განმეორებითი მოქმედების მნიშვნელობის პრევერბიანი რუსული ზმნები ქართულად უმეტესწილად აღწერილად ითარგმნება. ასეთი ზმნების თარგმნისას ქართული ენა მოქმედების დამატებით დახასიათებას მიმართავს, დამხმარე სიტყვებს იშველებს, რომლებიც თვითონ გამოხატავენ განმეორების მნიშვნელობას; ესენია: **ხელახლა, ხელმეორედ, მეორედ, განმეორებით, კვლავ** და მისთ. მაგ.: **перекрасить** ხელახლა შეათეთრება (ხელახლა შეათეთრებს); **перекрасить** ხელახლა, **хელმეორედ** შეღებვა (ხელახლა, ხელმეორედ შეღებავს); **переспросить** განმეორებით კითხვა (განმეორებით ჰკითხავს); **перезаэкзаменовывать** განმეორებით გამოცდა (განმეორებით გამოცდის) და სხვ.

რუსული ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედება ასეთ აღწერით თარგმანში შესაბამისი ფუძის მქონე ქართულა ზმნით, აზრობრივი ზმნით გადმოიცემა.

მოქმედების სხვაგვარად გაშეორების გამოსახატავად ლექსიკონები იშველებენ **სხვაგვარად, სხვაწაირად, სხვა, ახალი, ახლებურად** და მისთ. სიტყვებს. მაგ.: **перегруппироваться** სხვაგვარად დაჯგუფება;

перерешить სხვაგვარად გადაწყვეტა (სხვაგვარად გადაწყვეტს); переименовать სხვა სახელის დარქმევა; перевооружить ხელახლა, ახლებურად შეიარაღება (ხელახლა, ახლებურად შეიარაღებს) და სხვ. ამ შემთხვევაშიც სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობა ქართული აზრობრივი ზმნით არის გადმოცემული.

ზოგიერთი пере- პრევერბიანი ზმნა განმეორებითი მოქმედების შედეგად ობიექტის გამოცვლას, შეცვლას აღნიშნავს და ამიტომ გამოცვლა, შეცვლა ზმნების დახმარებით ითარგმნება. მაგ.: переадресовать მისამართის შეცვლა და ისე გაგზავნა; переодеть (ся) ტანისამოსის გამოცვლა; переобуть (ся) ფეხსაცმლის გამოცვლა და ზოგი სხვ.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვისას ერთი საინტერესო საკითხი გაირკვა. ზოგჯერ განმეორებითი მოქმედების აღმნიშვნელი пере- პრევერბიანი ზმნები ლექსიკონებში გადაპრევერბიანი ზმნებითაა თარგმნილი. აღსანიშნავია, რომ ქართულ გადა-პრევერბს განმეორებითი მოქმედების აღნიშვნის ფუნქცია ფაქტობრივად რუსული ენის გავლენით განუვითარდა. ვინაიდან მრავალ შემთხვევაში пере- ქართულად უნაკლოდ ითარგმნება გადა-პრევერბით, გადა- გაიგივებულ იქნა რუსულ пере-პრევერბთან¹⁹ და ის გამოყენებულ იქნა განმეორებითი მოქმედების აღმნიშვნელი пере-პრევერბის გადმოსაცემად. მაგ.: переборонить გადაფარცხვა; персвешить გადაწონა (გადაწონის); перегруппировать გადაჯგუფება (გადაჯგუფებს); перезаложить გადაგირავება (გადაგირავებს); перераспределить გადანაწილება (გადანაწილებს); переоценить გადაფასება (გადაფასებს); перепачать გადახენა (გადახენავს); перепечатать გადაბეჭდვა (გადაბეჭდავს) და სხვ.

ეს გადა-პრევერბიანი ფორმები სათანადო რუსული ზმნების კალკებს წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევათა რიცხვი არც თუ ისე მცირეა, რამაც განაპირობა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“²⁰ გადაპრევერბის ამ მნიშვნელობის ცალკე გამოყოფა.

საინტერესოა, რომ გადა-პრევერბიანი კალკების გადმოღების თვალსაზრისით რუსულ-ქართულ ლექსიკონებში სამი ტენდენცია შეინიშნება: 1. XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბაგრატიონმა²¹ ძალიან ფართოდ გაუღო კარი ასეთ კალკებს და გადატვირთა თავისი ხელნაწერი ლექსიკონი ხელოვნური ფორმებით: (გარდაცყოფ, გარდავაწებებ,

19 იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 258.

20 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. II, 1951, რედაქტორი გ. წერეთელი.

21 ეს ლექსიკონი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Н 2383.

გარდავრეცხ. გარდაკაცვირებ, გარდავაშალამინებ და შინთ.). 2. ნიკო ჩუბინაშვილმა²² და მის კვლადკვალ დავით ჩუბინაშვილმა საერთოდ უარი თქვეს ყოველგვარ კალკებზე და ამ ტიპის ზმნები მხოლოდ აღწერიტად თარგმნეს. ვერც ერთ ამ გზას ვერ მივიჩნევთ სწორად. ჩვენი აზრით, მართებულია მესამე გზა, რომელზედაც დგანან უნივერსიტეტის ლექსიკონის და, განსაკუთრებით, აკადემიის ლექსიკონის (სამტომეულის) შემდგენლები. აკადემიის ლექსიკონში, მაგ., შევიდა ყველაზე უფრო ბუნებრივი **გადა-** პრევერბიანი ფორმები, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ ენაში. ამ ფორმათა უმრავლესობა შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კალკირებას სპეციალური ტერმინების თარგმნისას ენიჭება. როგორც ცნობილია, ტერმინი ზემიწეენით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს გარკვეულ ცნებას, სხარტი და სახმარად მოსახერხებელი უნდა იყოს. ამიტომ სპეციალისტები ცდილობენ, თავი აარიდონ ორსიტყვიან თარგმანს და ტერმინოლოგიური სიტყვები ერთი სიტყვით თარგმნონ. ისინი ხშირად მიმართავენ სათარგმნი ზმნების კალკირებას, რუსული ტერმინების ზუსტ მორფოლოგიურ შესატყვისებს ქმნიან²³. განმეორებითი მოქმედების მნიშვნელობის **пере-** პრევერბიანი ტერმინების თარგმნისას **გადა-** პრევერბს ხმარობენ; როცა ასეთი ზმნების ხმარება არ ხერხდება, **კვლავ** სიტყვას იშველიებენ, რომელიც ზმნასთან ერთად ერთ სიტყვად იწერება. მაგ.: **перековать** კვლავჭედვა; **пересмыть** კვლავრეცხვა; **переклепать** კვლავმოქლონვა²⁴ და სხვ.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის შესწავლამ გვაჩვენა, რომ **გადა-** პრევერბიანი ფორმების კალკირება უმთავრესად ისეთ შემთხვევებში ხერხდება, როცა სათარგმნი ზმნის ფუძის შესაბამის ქართულ ზმნურ ფუძესთან **გადა-** პრევერბი არ იხმარება. ასეთ ფუძეებზე **გადა-** პრევერბის დართვისას ხერხდება ამ ფორმების განმეორებითი მოქმედების მნიშვნელობით გაგება. მაგ.: **переборонить** გადაფარცხვა; **перевесить** გადაწონა; **первооружить** გადაიარაღება; **перекипятить** გადადღლება; **перемежевать** გადამიჯვნა; **перекрестить** გადანათვლა; **переоценить** გადაფასება და ზოგი სხვა.

²² ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერი ლექსიკონი „Полный словарь русско-грузинский“, იქვეა დატული: S 3712, S 3413.

²³ Г. И. Цибахашвили, Глагольные приставки в русском и грузинском языках, საქანდიტო დისერტაციის ავტორეფერატი, 1960, გვ. 25.

²⁴ იხ. „ტექნიკური ტერმინოლოგია“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ვ. ბერიძის, რ. დვალისა და რ. ლამბაშიძის რედაქციით, 1957 (რუსულ-ქართული ნაწილი).

უფრო იშვიათად გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებიც სხვა მნიშვნელობითაც იხმარებიან, მაგრამ რომელთა საშუალებით მაინც ხერხდება განმეორებითი მოქმედების ჩვენება. მაგ.: *перезаложить* გადაგირავება; *перепрятать* გადაძალვა; *пересдать* გადაბარება; *переворонить* გადაბარვა; *перепахать* გადახვნა; *пересчитать* გადათვლა და ზოგი სხვა.

გაცილებით მეტია ისეთ შემთხვევათა რიცხვი, როცა ამ მნიშვნელობით *გადა-* პრევერბის ხმარება არ ხერხდება. ძირითად დაბრკოლებას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ხშირად *გადა-* პრევერბი არსებითად უცვლის სიტყვას მნიშვნელობას. მაგ.: *переиздать* შდრ. გადაცემა; *перевалить* შდრ. გადათელვა; *перевить* შდრ. გადაგრება; *перевоспитать* შდრ. გადაზრდა და სხვ. ზოგჯერ კი მიზეზი ის არის, რომ უცხო წარმოშობის ფუძეები ვერ იღებენ *გადა-* პრევერბს. მაგ.: *перетестовать*, *перебаллотировать*, *переконструировать*, *перелакировать* და სხვ.

მრავალ შემთხვევაში კალკირებას აბრკოლებს ის ფაქტი, რომ განმეორებითი მოქმედების საჩვენებლად ფაქტობრივ *გადა-* პრევერბის მეორე პრევერბად ხმარება ხდება საჭირო, რაც უცხოა ქართული ენის ბუნებისათვის. ეს ის შემთხვევებია, როცა სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობის გადმოცემა მხოლოდ რომელიმე პრევერბიანი (უმთავრესად *გადა-* პრევერბიანი) ქართული ზმნით ხერხდება. მაგ.: *перерешить* შდრ. გადაწყვეტა; *переклепать* შდრ. მოქლონვა და სხვ. ასეთ ზმნებს განმეორებითი მოქმედების გადმოცემა მხოლოდ დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებით შეუძლიათ.

მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა კალკირება არ ხერხდება, თუმცა რაიმე ხელშესახები დაბრკოლება არ ჩანს. ვფიქრობთ, ამის მიზეზი უფრო ღრმაა და ცალკეულ ზმნურ ფუძეთა თავისებურებებსა და შესაძლებლობებში უნდა იმალებოდეს.

განმეორებითი მოქმედების გამომხატველი *пере-* პრევერბიანი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობა აღწერით თარგმანში უპირატესად სხვადასხვა ქართული პრევერბით გადმოიცემა, რომლებიც აზრობრივ ზმნას ახლავს. მაგ.: *перекрасить* ხელმეორედ შეღებვა (ხელმეორედ შეღებვას) და სხვ. *გადა-* პრევერბიანი ზმნებით თარგმნისას *გადა-* რუსული ზმნების ასპექტურ-სემანტიკურ (მოქმედების წესის) მნიშვნელობასაც გადმოსცემს და წმინდა ასპექტურ (სრული ასპექტის) მნიშვნელობასაც.

6. საკმაოდ მოზრდილ ჯგუფს შეადგენენ აგრეთვე რუსული *пере-* პრევერბიანი ზმნები, რომლებიც გადაჭარბებულ, გარკვეულ ნორმას გადასულ მოქმედებას აღნიშნავენ. მაგ.: *переварить*, *передержать*,

პერეხვალить და მისთ. ასეთ მნიშვნელობას ჩვენც, ისევე როგორც ბიოკი და მასლოვი, მოქმედების წესის მნიშვნელობად მივიჩნევთ²⁵.

რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის შესწავლისას გამოირკვა, რომ გადაჭარბებული, ნორმას გადაცილებული მოქმედების აღმნიშვნელი პერე-პრევერბიანი ზმნები ქართულად უმთავრესად აღწერით, ისეთი დამხმარე, მნიშვნელობის დამაზუსტებელი სიტყვების მეშვეობით გადმოიცემა, როგორცაა: **ზედმეტად, ზომაზე მეტად, გადაჭარბებით, მეტისმეტად** და მისთ. ასეთ თარგმანში სათარგმნი ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედება ქართული აზრობრივი ზმნით გადმოიცემა. მაგ.: **перегреть** ზედმეტად გახურება, ზედმეტად გათბობა; **перегреть** молоко რძის ზედმეტად გათბობა; **перегрузить** ზედმეტად დატვირთვა; **перевыполнить** გადაჭარბებით შესრულება (გადაჭარბებით შეასრულებს): **перевыполнить** производственный план საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულება; **переусердствовать** გადამეტებული გულმოდგინება (გადამეტებულად გულმოდგინეობს); **перезреть** მეტისმეტად დამწიფება: дыня перезрела ნესვი მეტისმეტად დამწიფებულია; **пережечь** ზომაზე მეტად დაწვა; **пересыпать...** хозяйка пересыпала сахару в компот დიასახლისმა კომპოტს ზომაზე მეტი შაქარი უყო და სხვ.

ზოგჯერ ამ ტიპის ზმნების სათარგმნად ძალიან მარჯვეა გამოთქმა „**მეტი (ზედმეტი, ბევრი) მოუვა**“. მაგ.: **переест** საჭმელი მეტი მოუვა: ребенок переел ბავშვმა ზედმეტი შეჭამა, ბავშვს საჭმელი მეტი მოუვიდა; **переперчит** წიწაკა ბევრი მოუვა: ты переперчил суп წვენიში წიწაკა ბევრი მოგვლია; **пересинит** ლილა მეტი მოუვა და სხვ.

ცალკეულ შემთხვევებში რუსული პერე-პრევერბიანი ზმნებით გამოხატულ გადაჭარბებულ მოქმედებას ქართული ზმნის ფუძის სემანტიკა გამოხატავს. მაგ.: **переполнить** 1. გალიცლიცება (გაალიცლიცებს), გაპიპინება. 2. გაჭედვა (გაჭედავს); **пересолить** დამლაშება (დაამლაშებს), დატიტვა (დატიტავს) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ამ ჯგუფის ზმნების თარგმნისასაც გვხვდება რუსული ენის გავლენით შექმნილი **გადა-**პრევერბიანი კალკები. მაგ.: **переборщить** გადამლაშება, გადამეტება; **перебрать** გადა-

²⁵ იხ. W. Воеек, Die Actionsarten des russischen verbs. Russischunterricht, 9, 1956, გვ. 718.

Ю. С. Маслов, Система основных понятий и терминов славянской аспектологии. კრებული «Вопросы общего языкознания», Л., 1965, გვ. 76. საწინააღმდეგო აზრისად ა. ისახენკო. იხ. მისი, Грамматический строй русского языка.

შეტება; გადაჭარბება; переварить გადახარშვა; перегрузить გადატვირთვა; переработаться გადაღლა; перерасходовать გადახარჯვა და სხვ.

გადატანითი მნიშვნელობების თარგმნისას გადა- პრევერბი ჩვეულებრივ სათარგმნი ზმნის ფუძისაგან განსხვავებულ ფუძეს ერთვის და, ამდენად, ასეთი ფორმები რუსული ზმნების მიმართ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენს. მაგ.: перебрать გადამეტება, გადაჭარბება; перенграть გადაჭარბება, გადაამლაშება; переработаться გადაღლა (გადაიღლება) და ზოგი სხვა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გადაჭარბება და გადამეტება ფორმების ფუძეს თვითონ აქვს სიჭარბის გაგება და ქართულში ამ ფორმებს სწორედ მაშინ ხმარობენ, როდესაც სურთ ზოგადად გამოხატონ გადაჭარბებული, ზომას გადაცილებული მოქმედება.

ასეთი გადა- პრევერბიანი ფორმები ლექსიკონებში ხან აღწერთი თარგმანის პარალელურადაა მოცემული, ხან კი სათარგმნი ზმნის ერთადერთ თარგმანს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ გადაჭარბებული, ნორმას, საზღვარს გადაცილებული მოქმედების მნიშვნელობას გადა- პრევერბის ცალკე მნიშვნელობად გამოყოფს. ასეთი ფორმები ზოგჯერ ძალიან ხელოვნურია. მაგ.: переувасить გადამუჟება; переохладить გადაცივება და ზოგი სხვა. საერთოდ გადა- პრევერბის შესაძლებლობანი გადაჭარბებული მოქმედების ჩვენების მხრივ შეზღუდულია. ამიტომ სპეციალისტები ასეთი მნიშვნელობის ტერმინების თარგმნისას გადამეტ- და (იშვიათად) ჭარბ- სიტყვებს ურთავენ თარგმანს. მაგ.: перепроизводить გადამეტწარმოება (გადამეტაწარმოება), ჭარბწარმოება; перегреть გადამეტხურება; перегреть паровой котел ორთქლის ქვაბის გადამეტხურება; перегрузить გადამეტტვირთვა; перекалить 1. გადამეტწრობა (გადამეტაწრობა); перекалить железо რკინის გადამეტწრობა); 2. გადამეტხურება (გადამეტახურება); перекалить печь ღუმელის გადამეტხურება და ზოგი სხვა.

ასეთი ფორმები, მართალია, ხელოვნურია, მაგრამ სამაგიეროდ მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცემს სათარგმნი ზმნების შინაარსს, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინების თარგმნისას.

გადაჭარბებული მოქმედების აღმნიშვნელი სრულასპექტიანი ზმნების ასპექტური მნიშვნელობა აღწერთად თარგმნისას სხვადასხვა ქართული პრევერბით გადმოიცემა, რომლებიც ქართულ აზრობრივ ზმნას დაერთვის. მაგ.: перевыполнить გადაჭარბებით შესრულება (გადაჭარბებით შეასრულებს); перегреть ზედმეტად გახურება (გაახურებს) და სხვ. გადა- და გადამეტ- დართული ფორმები ერთდროულად

სათარგმნი ზმნების სემანტიკურ-ასპექტურ მნიშვნელობასაც გამოხატავს და სრული ასპექტის მნიშვნელობასაც.

ზოგჯერ пере- პრევერბიანი ზმნები აღნიშნავენ გადაჭარბებული მოქმედებით რისამე გაფუჭებას, წახდენას. მაგ.: перегореть (электрическая лампочка перегорела), перевертеть (кран...) და სხვ. ასეთი ზმნები ქართულად ხშირად აღწერითად გადმოიცემა წახდენა, გაფუჭება, მოშლა და მისთ. სიტყვების დახმარებით, რომლებიც ზოგადად რისამე გაფუჭებას აღნიშნავენ. ასეთ აღწერით თარგმანში სათარგმნი ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედება მოქმედებით ბრუნვაში დასმული მასდარით არის წარმოდგენილი. მაგ.: перевертеть ტრიალით წახდენა; перестоять დიდხანს დგომით, დებით გაფუჭება (გაფუჭდება), წახდენა და ზოგი სხვ.

Перегореть და пережечь ზმნების სათარგმნად ძალიან მარჯვეა გადა- პრევერბიანი გადაწვა (გადაწვავს, გადაიწვება) ზმნა, რომელიც ამ მნიშვნელობით უკვე დამკვიდრდა ენაში.

ზოგჯერ კი ამ ტიპის ზმნები განსხვავებული ლექსიკური ერთეულით, განსხვავებული სიტყვით გადმოიცემა; ასეთ შემთხვევებში გაფუჭების, წახდენის მნიშვნელობას ქართული ზმნის ფუძის სემანტიკა ითვალისწინებს. მაგ.: пережарить ჩახრაკვა; перестоять: молоко перестояло რძე აიჭრა და სხვ.

ამ ჯგუფის სრულასპექტიანი ზმნების ასპექტური მნიშვნელობა ამა თუ იმ ქართული პრევერბით გადმოიცემა, რომელიც აღწერით თარგმანის ზმნურ კომპონენტს ერთვის (მაგ.: перевертеть ტრიალით წახდენა (წახდენს) ან განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს (მაგ.: пережарить ჩახრაკვა და სხვ.).

7. არაერთი пере- პრევერბიანი და -ся ნაწილაკიანი ზმნები გამოხატავს ურთიერთერთსახე (взаимный) მოქმედების წესს. ასეთი ზმნები აღნიშნავს სუბიექტებს შორის ურთიერთმიმართულ ერთგვაროვან (ერთსახე) მოქმედებას. მაგ.: переглядываться, перегляднуться, перекидываться, перекинуться და მისთ. ამ ფორმებში ურთიერთმიმართული მოქმედების ჩვენებისას მნიშვნელოვან როლს -ся ნაწილაკი ასრულებს²⁶.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ა. ბონდარკოს აზრს, რომ ამ ტიპის ზმნები ზოგჯერ ორივე ასპექტის ფორმებითაა წარმოდგენილი²⁷. ვ. ვი-

²⁶ А. В. Исаченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 285 და М. А. Теленкова, К вопросу о лексических и грамматических значениях глагольных приставок в современном русском языке: Ученые записки Московского государственного педагогического института им. В. И. Ленина, 216, 1964, გვ. 217.

²⁷ А. В. Бондарко, Л. Л. Булаиц, Русский глагол, Ленинград, 1967, გვ. 22.

ნოვგრაძოვის²⁸ და ა. ისაჩენკოს²⁹ აზრით, ასეთი ზმნები მხოლოდ უსრულასპექტიანები არიან და მათ არა აქვთ სრულასპექტიანი შესატყვისები. რაც შეეხება перебраниться, переругаться ტიპის ზმნებს, მათ ვ. ვინოგრადოვი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს დამოუკიდებელ ზმნებად. ასეთი ზმნები ჩვენ, ისევე როგორც ბონდარკოს, დამატებითი შინაარსობრივი ნიუანსის მქონე განაწილებითი (დისტრიბუციული) მოქმედების წესის გამოხატველ ზმნებად მიგვაჩნია.

ურთიერთობასზე მოქმედების წესის მნიშვნელობის ზმნები გამოხატავენ მოქმედებას რამდენიმე მონაწილის შორის, ორს შორის მაინც.

თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის შესწავლამ დაგვანახვა, რომ ამ ტიპის ზმნების თარგმნა ერთი სიტყვით არ ხერხდება. ასეთი მნიშვნელობის გადმოსაცემად ქართული ენა იშველიებს დამარე სიტყვებს — **ერთმანეთი** და **ერთიმეორე** — სათანადო ბრუნვის ფორმით. სათარგმნი ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედება სათანადო ქართული აზრობრივი ზმნით გადმოიცემა. მაგ.: перебраниться დროდადრო ერთმანეთის ლანძღვა (ერთმანეთს ლანძღავენ), ერთმანეთს ეჩხუბებიან, ერთმანეთში კინკლაობენ; переругаться чем ერთიმეორისათვის გადაგდება (ერთი მეორეს გადაუგდებს); переглянуться ერთმანეთის გადახედვა (ერთმანეთს გადახედავენ): он переглянулся с соседом იმან და მეზობელმა ერთმანეთს გადახედეს; перестреливаться ერთიმეორისთვის სროლა (ერთიმეორეს ესვრიან) და სხვ.

დამოუკიდებლად, დამაზუსტებელი სიტყვების გარეშე ნახმარი ქართული ზმნები სათარგმნი ზმნების მხოლოდ ფუძის საგნობრივ მნიშვნელობას გადმოსცემენ; მოქმედების წესის მნიშვნელობა კი ასეთ თარგმანში გადმოუცემელი რჩება. გამონაკლისს წარმოადგენენ **მიწერ-მოწერა** და **მიმოწერა** ფორმები (იხ. переписываться სიტყვა-სტატია), რომლებშიც ზმნების გაორკეცება და **მიმო-** პრევერბი (შესაბამისად) გამოხატავენ ურთიერთმიმართულ მოქმედებას. ასეთი ფორმები **ერთმანეთ-** სიტყვასთანაც იხმარება, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას.

ამ ჯგუფის სრულასპექტიანი ზმნების ასპექტური მნიშვნელობა სხვადასხვა ქართული პრევერბით გადმოიცემა, რომელიც ქართულ აზრობრივ ზმნას ერთვის, ცალკეულ შემთხვევებში კი — სუბლექტური ფორმებით. მაგ.: перемолвиться ერთმანეთსთვის თქმა (ერთმანეთს ეტყვიან), შღრ. ეუბნებიან და სხვ.

28 В. В. Виноградов, Русский язык, Москва, 1947, стр. 510—511.

29 А. В. Исаченко, ласახ. ნაშრომი, გვ. 286.

8. რუსული пере- პრევერბიანი ზმნების ერთი ჯგუფი რომელიმე საგნის (ჩვეულებრივ, პირის) რაიმე უპირატესობას აღნიშნავს სხვა საგნის ან საგნების წინაშე. ასეთი ზმნები გამოხატავს ჯობნას, მორევას, დაძლევას და მისთ. აღსანიშნავია, რომ ნ. ნეკრასოვი пере- პრევერბის ძირითად მნიშვნელობად სწორედ უპირატესობის ჩვენებას მიიჩნევდა და ამ მნიშვნელობას უკავშირებდა ის მის ყველა დანარჩენ მნიშვნელობას³⁰.

მრავალ შემთხვევაში ამ ჯგუფის ზმნები ლექსიკონებში აღწერილობითაა ნათარგმნი, უპირატესობის გამომხატველი სიტყვების დახმარებით, როგორცაა: ჯობნა, გასწრება და მისთ. ასეთ აღწერილობით სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობა ში- თანდებულის მიცემით- ში დასმული სიტყვით არის წარმოდგენილი. მაგ.: перепеть სიმღერაში ჯობნა (სიმღერაში აჯობებს): он перепел старого певца მოხუც მომღერალს აჯობა სიმღერაში; переспорить კამათში ჯობნა (კამათში აჯობებს): он всех переспорил კამათში ყველას აჯობა; перехитрить ეშმაკობაში ჯობნა (ეშმაკობაში აჯობებს); перерастить ზრდაში გასწრება (ზრდაში გაასწრებს) და სხვ.

გარდა ამისა, ლექსიკონებში უფრო ვრცელი სახის აღწერითი თარგმანიც გვხვდება: ვინმეზე ან სხვაზე მეტს (ვინმეზე უფრო დიდხანს, ან მაღალი...) + ქართული აზრობრივი ზმნა. მაგ.: перепить სხვაზე მეტის დალევა... он всех перепил за ужином ვახშმის დროს ყველაზე მეტი დალია; пережить ვინმეზე მეტს იცოცხლებს; перерастить: сын перерос отца ვაჟი მამაზე მაღალი გაიზარდა და ზოგი სხვა.

ზოგჯერ კი ამ ჯგუფის пере- პრევერბიანი ზმნები დამოუკიდებლად ნახმარი ანალოგიური მნიშვნელობის ქართული ზმნებით ითარგმნება, რომლებიც სათარგმნი ზმნების მიმართ ფაქტობრივად განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ. მაგ.: переплюнуть ჯობნება (აჯობებს); пересилить მორევა; перерастить გასწრება, ჯობნა; ученик перерос своего учителя მოწაფემ გაასწრო, აჯობა მასწავლებელს და ზოგი სხვ. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული სიტყვით უმთავრესად სათარგმნი ზმნების გადატანითი მნიშვნელობები ითარგმნება. ასეთ შემთხვევებში ხაზი ზოგადად ჯობნას, უპირატესობას ესმის.

ამ ტიპის სრულასპექტიანი ზმნების თარგმნისას მათი ასპექტური მნიშვნელობა სხვადასხვა ქართული პრევერბით ვაღმოიკვამა, რომელიც დამოუკიდებლად ნახმარ ზმნას ახლავს ან აღწერითი თარგმანის

³⁰ Н. Некрасов, О значении форм русского глагола, С.-Петербург, 1865, გვ. 223.

პირიან კომპონენტს. მაგ.: переписать სხვაზე მეტის დაღვევა (დაღვევს); пересилить მორევა (მორევეა); перерасти ზრდაში გასწრება (გაუსწრებს) და სხვ. ჯობნა სიტყვით თარგმნისას (როგორც სინთეზურ, ისე ანალიზურ თარგმანში) ასპექტური განსხვავება ფუძის მნიშვნელობით გადმოიცემა; შდრ. აჯობებს და ჯობნის.

9. აღსანიშნავია, რომ ზოგი пере- პრევერბიანი ზმნა აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთს მოიცავს, ანუ გამოხატავს მოქმედების დასრულებას დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ. მაგ.: переночевать, перезимовать, перемучиться და ზოგი სხვ. пере- პრევერბის ამ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ ა. ვოსტოკოვი მიუთითებდა³¹. ბოლო ხანებში ამ მნიშვნელობას მოქმედების წესის მნიშვნელობად მიიჩნევენ³². ასეთი ზმნები ჩვეულებრივ უსრულ-ასპექტიანი არიან, მათი უმრავლესობა სასაუბრო და კუთხური სიტყვებია. ამ ზმნებს ჩვეულებრივ ბრალდებით ბრუნვაში დასმული სახელი ახლავს, რომელიც დროის მონაკვეთს აღნიშნავს (пересидеть день, перестоять бурю). არსებით სახელისაგან ნაწარმოებ ზმნებს ასეთი დამატება არ ახლავს³³ (переночевать на складе და სხვ.).

ასეთი ზმნები საერთოდ ცოტაა ენაში. ამ ჯგუფში³⁴ შედის, მაგ., ორი გარდამავალი ზმნა: переждать და перестоять. ორივე ეს ზმნა აღწერიტად ითარგმნება — მოდელით: ქართული აზრობრივი ზმნა + კავშირი (ვიდრე) + ქართული ზმნა, რომელიც დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლას, რაიმე მოქმედების დასრულებას აღნიშნავს (ასეთი სიტყვებია: გადაიღებს, გადაივლის, გამოიღარებს და სხვ.). მაგ.: переждать დალოდება (დაელოდება), დაცდა (დაიცდის), მოცდა ვიდრე... мы переждали дождь даველოდეთ, ვიდრე წვიმა გადაიღებდა; переждите непогоду დაიცადეთ, ვიდრე ავდარი გადაიღებდეს, ვიდრე გამოიღარებდეს; перестоять: судно перестояло бурю в порту გემი ნავსადგურში იდგა, ვიდრე ქარიშხალი გადაივიდა და სხვ. ამ ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობა პირველ მაგალითში აზრობრივი ზმნის და- და მო- პრევერბებით არის გადმოცემული, მეორეში

³¹ А. Востоков, Русская грамматика по начертанию его же сокращенной грамматики, 1874, გვ. 81.

³² А. В. Исаченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 244; Ю. С. Маслов, Система основных понятий и терминов славянской аспектологии. კრებული „Вопросы общего языкознания“, Ленинград, 1965, გვ. 75.

³³ Е. А. Земская, Типы одновидовых приставочных глаголов в современном русском языке. კრებული «Исследования по грамматике русского литературного языка», 1955, გვ. 18.

³⁴ იგულისხმება თარგმნით ლექსიკონებში შესული ასეთი ზმნების ჯგუფი:

კი — ქართული ზმნის ფუძის მნიშვნელობით. გემი ნავსადგურში იდგა (იდგება); შდრ. დგას.

ამ ჭგუფშივე შედის აგრეთვე სამი გარდაუვალი ზმნა. ასეთ ზმნებს, ცხადია, ბრალდებით ბრუნვაში დასმული დამატება არ აქლავთ. ეს ზმნებია: *перезимовать, переночевать* და *переспать*. სამივე ზმნა აღწერთად ითარგმნება. ამ ზმნების სათარგმნად ლექსიკონებში მოშველიებულია გარკვეული დროის განმავლობაში სადმე ყოფნის აღმნიშვნელი სიტყვები: *გათევა, გატარება, დაყოფა*. სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობა სათანადო ბრუნვაში დასმული სახელით გადმოიცემა. მაგ.: *перезимовать* ზამთრის გატარება (ზამთარს გაატარებს); *перезимовать в деревне* ზამთრის სოფლად გატარება; *переночевать* ღამის გათევა (ღამეს გაათევს): *он переночевал у знакомых* ღამე ნაცნობებთან გაათია; *переспать* ღამის გათევა (ღამეს გაათევს): *путник переспит у соседей* მგზავრი მეზობლებთან გაათევს ღამეს.

გა- და *და-* პრევერბები (გათევს, დაყოფს) სათარგმნი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობას გამოხატავენ.

перезимовать ზმნის თარგმნა *გამო-* პრევერბიანი *გამოზამთრება (გამოიზამთრებს)* ზმნითაც ხერხდება, რომელიც სწორედ „*ზამთრის გადატანა*“-ს ნიშნავს (პირუტყვის, მცენარის... მიერ)³⁵.

ასეთია მოკლედ *пере-* პრევერბის ძირითადი მნიშვნელობები და მათი ქართულად გადმოცემის საშუალებანი.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ *пере-*პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნები, როგორც საერთოდ ყველა რუსული პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნები, მეორეული იმპერფექტივაციის, ე. ი. პრევერბიან სრულასპექტიან ზმნებზე სუფიქსის დართვის შედეგად არიან მიღებული. ასეთ ფორმებში პრევერბი იმავე სემანტიკურ ან სემანტიკურ-ასპექტურ მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც სრულასპექტიან კორელატში. უსრული ასპექტის გაგებას [-ыва- (-ива-), -а-] სუფიქსები ქმნიან. ასეთი მოვლენა უცხოა ქართული ენისათვის, ამიტომ ეს იწვევს ხშირად გარკვეულ სირთულეს ამ ფორმების თარგმნისას.

რუსული პრევერბიანი, კერძოდ, *пере-* პრევერბიანი ფორმების აღწერთად თარგმნისას უმტკივნეულოდ გადმოიცემა მათი როგორც სემანტიკური და სემანტიკურ-ასპექტური მნიშვნელობა, ისე წმინდა ასპექტური მნიშვნელობაც. უსრული ასპექტის მნიშვნელობა აღწერით თარგმანში ჩვეულებრივ უპრევერბო აზრობრივი ზმნით ან საერთოდ პირიანი კომპონენტით გადმოიცემა. მაგ.: *перековать* ბევრის,

35 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II.

ყველას დაჰედვა (ჰედავს); перегруппировывать ახლებურად დაჯგუფება (ახლებურად აჯგუფებს) და სხვ.

пере- პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნების სინთეზური ფორმით თარგმნა ყოველთვის არ ხერხდება, რადგან უპრევერბო ქართული ზმნით თარგმნისას იკარგება სათარგმნი ზმნის ესა თუ ის სემანტიკური ან სემანტიკურ-ასპექტური მნიშვნელობა. სინთეზური ფორმით პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნების თარგმნა მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა ქართული ზმნის ფუძეს თვითონ აქვს სათარგმნი ზმნის სემანტიკური ან სემანტიკურ-ასპექტური მნიშვნელობა. მაგ.: пересаливать გადამლაშება, დამლაშება (ამლაშებს); переполнять გალიცლიცება (ალიცლიცებს); переигрывать გადაჭარბება (აჭარბებს); пересилить მორევა (ერევა); перерастать გასწრება (უსწრებს) და სხვ.

ზოგჯერ ამა თუ იმ უპრევერბო ქართულ ზმნას ვრცელ კონტექსტში აღვიქვამთ, როგორც გარკვეული სრულასპექტიანი ზმნის შესატყვისს; შდრ. მაგ.: перепрыгнуть გადახტომა (გადახტება) და перепрыгивать გადახტომა (ახტება) ან გადაახტება და ახტება და სხვ.

ბევრ შემთხვევაში ასეთი ზმნები პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება; ამ შემთხვევაში ასპექტურ განსხვავებას ქართული ზმნის ფუძის მნიშვნელობა გამოხატავს [შდრ. მაგ.: перебежать გადარბენა (გადარბენს) და перебежать გადარბენა (გადარბის); перевести გადაყვანა (გადაიყვანს) და переводить გადაყვანა (გადაჰყავს) და სხვ.] ან სუბლექტური ფუძე [შდრ. მაგ.: перенести გადატანა (გადაიტანს) და переносить გადატანა (გადააქვს); перейти გადასვლა (გადავა) და переходить გადასვლა (გადადის) და სხვ.].

საკმაოდ ხშირია ისეთ შემთხვევათა რიცხვი, როცა პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნების ზუსტად თარგმნა, მნიშვნელობის ორივე კომპონენტის — სემანტიკური ან სემანტიკურ-ასპექტური და ასპექტური მნიშვნელობების გათვალისწინება ვერ ხერხდება, რადგან ხშირად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპრევერბოდ ქართული ზმნები ვერ გამოხატავენ რუსული ზმნის ამა თუ იმ სემანტიკურ ან სემანტიკურ-ასპექტურ მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევებში პრევერბიანი უსრულასპექტიანი ზმნების აღწერით თარგმნა ხდება საჭირო; შდრ. მაგ.: перспяхать გადახვნა (გადახვნავს) და перспяхивать ხელმეორედ მოხვნა (ხელმეორედ ხნავს); перегрузить გადატვირთვა (გადატვირთავს) და перегружать ზედმეტად დატვირთვა (ზედმეტად ტვირთავს); переутомиться გადაღლა (გადაიღლება) და переутомляться მეტად დაღლა (მეტად იღლება) და სხვ.

მაგრამ აღწერთად თარგმნა ყოველთვის არ ხერხდება. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევებში ასეთი ფორმების გადმოსაცემად ყველაზე მარჯვეა ხოლმე ნაწილაკიანი ფორმები. ასეთი ფორმები სრულასპექტიანია ქართულში, მაგრამ შინაარსით მაინც ყველაზე ახლოს დგას პრევერბიან უსრულასპექტიან ზმნებთან. მაგ.: передаваться გადაცემა (გადაცემა ხოლმე...); перелетать გადაფრენა (გადაფრინდება ხოლმე); переплывать გადაცურვა (გადაცურავს ხოლმე...); переплываться ერთმანეთის გადახედვა (ერთმანეთს გადახედავენ ხოლმე...) და სხვ.

ამგვარად, რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, რომ:

1. пере- პრევერბის ლექსიკური მნიშვნელობები ქართულად უნაკლოდ გადმოიცემა ქართული გადა- (სააქეთო ორიენტაციის საჩვენებლად რეალური მიმართულების მქონე ზმნებთან გადმო-) პრევერბით, ე. ი. ლექსიკურ пере- პრევერბს პირდაპირი შესატყვისი აქვს ქართული გადა- (გადმო-) პრევერბის სახით.

2. пере- პრევერბით გამოხატული მოქმედების წესის მნიშვნელობების გადმოცემა ქართული პრევერბებით, როგორც წესი, ვერ ხერხდება და ასეთი მნიშვნელობები ქართულად, ჩვეულებრივ, აღწერით, დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებით გადმოიცემა.

გამონაკლისს წარმოადგენს ინტენსივობის და- პრევერბი, რომელიც ზუსტად გადმოსცემს пере- პრევერბის განაწილებითი (დისტრიბუციული) მნიშვნელობის ორივე კომპონენტს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, და- პრევერბის შესაძლებლობები ამ მხრივ ძალიან შეზღუდულია.

რამდენიმე შემთხვევაში განაწილებითი (დისტრიბუციული) მოქმედების წესის მნიშვნელობის ერთი ნიუანსის გადმოცემას გადა- პრევერბი ასერხებს. ამ შემთხვევაში მოქმედება ყველა ობიექტზე ვრცელდება.

ხშირ შემთხვევაში რუსული ზმნის მოქმედების წესის მნიშვნელობები ქართული ზმნის ფუძის სემანტიკით გადმოიცემა.

пере- პრევერბიანი ზმნების მოქმედების წესის მნიშვნელობების, კერძოდ, განმეორებითი და გადაჭარბებული მოქმედების მნიშვნელობის გადმოცემისას შეინიშნება გადა- პრევერბის пере- პრევერბთან გაიგივების ცალკეული ტენდენცია. რუსული ენის გავლენით შექმნილი ბევრი ასეთი კალკი უკვე დამკვიდრდა ენაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კალკირების საკითხს ტერმინების თარგმნისას ენიჭება.

3. ქართულად იგადმოიციემა пере- პრევერბიანი ზმნების როგორც სემანტიკური და სემანტიკურ-ასპექტური, ისე წმინდა ასპექტური მნიშვნელობა.

გარკვეული სირთულე ახლავს პრევერბიანი უსრულსპექტიანი ზმნების თარგმნას, რადგან ასეთი მოვლენა უცხოა ქართული ენისათვის. ასეთი ზმნების ზუსტად თარგმნა, მათი სემანტიკის ორივე კომპონენტის გათვალისწინებით, ყოველთვის ვერ ხერხდება.